20410484

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის

განკარგულება

12/02/2024 N 77

თბილისი

შპს „სანო-კრედიტი“-ს ვალუტის გადამცვლელი პუნქტის რეგისტრაციის გაუქმების შესახებ

„საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის, ამავე კანონის 50-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 61–ე მუხლის, „ვალუტის გადამცვლელი პუნქტების რეგისტრაციისა და რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2018 წლის 28 თებერვლის N37/04 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე–5 მუხლის პირველი პუნქტის „კ“ ქვეპუნქტის და მე-4 პუნქტის, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2023 წლის 30 ივნისის N164/04 ბრძანების საფუძველზე:

1. გაუქმდეს შპს ,,სანო-კრედიტი“-ს ვალუტის გადამცვლელი პუნქტის (საიდენტიფიკაციო ნომერი 406164421) რეგისტრაცია სარეგისტრაციო ნომრით ვგპ-0134340, მისამართზე: ქ. თბილისი, გლდანის პირველი მიკრო რაიონი, 23ბ კორპუსი, შენობა N2;
2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს ,,შპს ,,სანო-კრედიტი“-ს ვალუტის გადამცვლელი პუნქტის რეგისტრაციის თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტის 2016 წლის 22 თებერვლის N89 განკარგულება;
3. აღნიშნული განკარგულების გასაჩივრება შეიძლება თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N64), მხარისათვის მისი ოფიციალურად გაცნობიდან ერთი თვის ვადაში;
4. განკარგულება ამოქმედდეს მხარისათვის მისი გაცნობისთანავე.

ირმა ბოკუჩავა

დეპარტამენტის უფროსი
არასაბანკო დაწესებულებების ზედამხედველობის დეპარტამენტი